ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5363904

ნომერი: AR1815769

თარიღი : 05.04.2021

გაცემის თარიღი : 14.04.2021

გაცნობის თარიღი : 14.04.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესი , სკოლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ბაშარული პ/ნ 47001010797
- საქართველო, ახალციხეს მუნიციპალიტეტი, ქალაქი ახალციხე, მერაბ კოსტავას ქუჩა, N 4, ბინა 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 ოქტომბრის №4724040 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 05 აპრილს №AR1815769 განცხადებით მომართა ლევანი ბაშარულმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 24

ოქტომბრის №4724040 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 ოქტომბრის №4724040 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ზაჰესი, სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №72.12.03.481), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 26 ნოემბრის №4767254 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 ნოემბრიდან 2021 წლის 26 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 31 მარტის №5348690 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2019 წლის 26 ნოემბრის №4767254 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 24 ოქტომბრის №4724040 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საზაფხულო ფართობად 138.5 კვ.მ-ის ნაცვლად 128.4 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 2961.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2950.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882021186464, მომზადების თარიღი: 18/03/2021 წ.) №72.12.03.481 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლეგი ქონსთრაქშენ“ (ს/ნ: 405290607). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის შესაბამისად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: №B19141782, მომზადების თარიღი: 18/12/2019 წ.), შპს „ლეგი ქონსთრაქშენ“-ის (ს/ნ: 405290607) ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლევანი ბაშარული. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 ოქტომბრის №4724040 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი: 128.4 კვ.მ., საერთო ფართობი: 2950.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 ოქტომბრის №4724040 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 ოქტომბრის №4724040 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.